განკარგულება:**g-81. 81231863**
თარიღი:**05/07/2023**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №35

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ქ. ცაგერში, თამარ მეფის ქ. №28-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული პოლიციის ყოფილი შენობის (ს/კ - 89.03.22.014) გასაქირავებელი ფართის - 37.52 კვ.მ. კომერციული საქმიანობისათვის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით - იჯარით გადაცემის შესახებ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.დ" ქვეპუნქტის, 61-მუხლის მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტების, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის 669 დადგენილების 36-ე მუხლის და ი/მ ,,ომარი დოღონაძის" (პ/ნ 60001044858; უძრავის ქონების შემფასებელი, სერთიფიკატი NA-1193) უძრავი ქონების საწყისი საიჯარო ქირის ღირებულების შეფასების შესახებ დასკვნის (Nქ/13; 24.05.2023წ) საფუძველზე,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. თანხმობა მიეცეს, ცაგერის მუნიციპალიტეტის მერს ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ქ. ცაგერში, თამარ მეფის ქ. №28-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული პოლიციის ყოფილი შენობის (ს/კ-89.03.22.014) გასაქირავებელი ფართის - 37.52 კვ.მ. კომერციული საქმიანობისათვის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით - იჯარით გადაცემაზე.

2. საიჯარო ფართის წლიურ საწყის საიჯარო ქირად განისაზღვროს: 660 (ექვსას სამოცი) ლარი, ერთი თვის საიჯარო ქირა-55 ლარის ოდენობით.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №69) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჭაბუკი ჭაბუკიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი